

## მებრძოლი სოლიდარობა

არაფორმალური, ანტიკომუნისტური ორგანიზაცია, მებრძოლი სოლიდარობა შეიქმნა პოლონეთში 1982 წლის შუა სანებში. ორგანიზაციის შექმნის მთავარი ინიციატორი და პირველი თავმჯდომარე იყო კორნელ მორავეცკი. მებრძოლი სოლიდარობის შექმნა გამოწვეული იყო პროფესიულ კავშირ "სოლიდარობაში" აზრთა სხვადასხვაობით, იმის შესახებ, თუ რა მეთოდებით უნდა წარმართულიყო ბრძოლა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ, მას შემდეგ რაც ქვეყანაში შემოღებულ იქნა სამხედრო მდგომარეობა 1981 წელს. "სოლიდარობის" აქტივისტები, რომლებსაც გადაწყვეტილი პქონდათ მებრძოლ სოლიდარობაში გაერთიანება, იყვნენ პოლონეთის დამოუკიდებლობისა და კომუნისტური რეჟიმის ქვეშ მყოფი ერების გათავისუფლებისათვის ბრძოლის უკომპრომისო მეთოდების მომხრენი. მებრძოლი სოლიდარობა შემდგომ გამოდიოდა ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის გადაგდების იდეით, მისი ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ კომუნისტური რეჟიმის კრახი მოახლოებული იყო. ძალიან ბევრი ადანაშაულებდა მებრძოლ სოლიდარობას ზღვარსგადასულ რადიკალიზმში, თუმცა სწორედ მათი პროგნოზები აღმოჩნდა მეტნაკლებად ზუსტი.

მებრძოლი სოლიდარობა საკუთარ რიგებში აერთიანებდა დაახლოებით 1000 წევრს. მისი რეგიონული დანასახურები ფუნქციონირებდნენ პრაქტიკულად მთელს ქვეყანაში, წარმომადგენლები ჰყავდათ საზღვარგარეთაც, მათ შორის საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. მებრძოლი სოლიდარობის ყოველ ახალ წევრს უნდა მიეღო ორგანიზაციის 2 წევრის რეკომენდაცია და დაედო ფიცი მათი თანდასწრებით.

მმართველი ორგანოები: თავმჯდომარე (კორნელ მორავეცკი), მებრძოლი სოლიდარობის საბჭო, აღმასრულებელი კომიტეტი. ბრძოლის ძირითადი მეთოდები იყო არალეგალური საგამომცემლო და საინფორმაციო საქმიანობა, იატაკქვეშა რადიოგადაცემების წაყვენა, ქუჩის აქციებისა და დემონსტრაციების ორგანიზება. მებრძოლი სოლიდარობა თანამშრომლობდა სოლიდარობის იატაკქვეშა სტრუქტურებთან, რომლებიც მათ აღმოუჩენდნენ ტექნიკურ დახმარებას.

მებრძოლ სოლიდარობას პქონდა კონტრდაზერვის საკმაოდ ეფექტური სისტემა, ძირითადად უსაფრთხოების სისტემების თანამშრომელთა რადიოსაუბრების მოსმენისა და ამ სამსახურების ზოგიერთ წარმომადგენლებთან თანამშრომლობის გზით. მებრძოლი სოლიდარობა 1980-იანი წლების შუა პერიოდში აქტიურად უჭერდა მხარს ოპოზიციურ მოძრაობებს მთელს აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში. თავის ბიულეტენებში მებრძოლი სოლიდარობა საუბრობდა ადამიანის უფლებების დარღვევებზე კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში, ტიბეტში, ასევე საბჭოთა აგრესის შესახებ ავღანეთში. 1988 წლიდან მებრძოლმა სოლიდარობამ გააგზავნა "აღმოსავლეთის დეპარტამენტის" წარმომადგენლები უკრაინაში, რუსეთში, ბელორუსში, ლიტვაში, ესტონეთში, ლატვიაში, საქართველოში, ყაზახეთში, მოლდოვაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ისინი უზიარებდნენ კომუნიზმთან ბრძოლის გამოცდილებას საბჭოთა დისიდენტებსა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მოღვაწეებს, გადასცემდებნ საბეჭდ მოწყობილებებს, ელექტრონულ კავშირებს და ბეჭდვით ლიტერატურას.

პოლონეთში ტარდებოდა პოლიგრაფიის კურსები საბჭოთა კავშირის ქვეყნების ახალგაზრდა წარმომადგენლებისათვის. მებრძოლი სოლიდარობის მასალები პოლონურის გარდა ქვეყნდებოდა რუსულ, ჩეხურ, უნგრულ და უკრაინულ ენებზე.

1991 წლის იანვრის მოვლენების დროს, მებრძოლი სოლიდარობა აქტიურად თანამშრომლობდა იმ ლიტვურ ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ ლიტვის დამოუკიდებლობისათვის, ისინი უშაალოდ იღებდნენ მონაწილეობას მიმდინარე მოვლენებში

1989 წლიდან ხელმძღვანელობდა რა მორალური და პოლიტიკური პრინციპებით, მებრძოლი სოლიდარობა კომუნისტებთან შერიგების წინააღმდეგ გამოდიოდა, რასაც აწარმოებდნენ პოლონეთის ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი (მრგვალი მაგიდების პოლიტიკა).

მებრძოლმა სოლიდარობამ საქმიანობა შეწყვიტა 1992 წელს. ამ ყველაფერს წინ უსწრებდა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მხრიდან მცდელობა, მიეღოთ მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მებრძოლი სოლიდარობის ბაზაზე შეიქმნა პოლიტიკური ორგანიზაცია თავისუფლება, მხოლოდ, ერთი იუო, რომ ლოზუნგები, კომუნისტური რეჟიმის რადიკალური რეგენერაცია არ აღმოჩნდა პოპულარული პოლონეთის საზოგადოებისათვის. პოსტკომუნისტური პოლონეთის პოლიტიკურმა რეალიებმა, კონკრეტულად ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის თანამშრომლობა პოსტკომუნისტებთან განაპირობა მებრძოლი სოლიდარობის მიერ პოლონეთის დამოუკიდებლობის საქმეში შეტანილი წვლილის გარკვეულწილად დავიწყება. მხოლოდ ახლა, როცა პოსტკომუნისტები და მათი თანამოაზრები აღმოჩნდნენ პოლიტიკური ხელისუფლებისგან ჩამოშორებული, მებრძოლი სოლიდარობა თანდათანობით იდდგენს საკუთარ ადგილს კომუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა პანთეონში.

2007 წელს ორგანიზაცია აღნიშნავს დაარსების 25 წლის იუბილეს.